

ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი

1. ზოგადი ინფორმაცია

ოქმი №	თარიღი: 26.02.2021	ოქმის შემდგენი პირი სახელი, გვარი: პ/ნ: ტელ:	უბედური შემთხვევის სახე საშუალო/მძიმე/ფატალური/ მასობრივი  მძიმე
--------	-----------------------	---	--

მოკვლევის ჩატარების საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბერის ბრძანება №01-11/ნ „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშების წესის დამტკიცების თაობაზე“

2. ინფორმაცია საწარმოს/ორგანიზაციის შესახებ

კომპანიის დასახელება: (დამკვეთი) სს „თი ბი სი ბანკი“  
(სამუშაოების შემსრულებელი) შპს „დომუს დეველოპმენტ“  
ს/კ: 204854595  
ტელ: \_\_\_\_\_  
მის: ქ.თბილისი,  
საქმიანობის სფერო: მშენებლობა  
დაწესებულების გენერალური დირექტორი: \_\_\_\_\_

4. ინფორმაცია უბედური შემთხვევის შესახებ

უბედური შემთხვევის თარიღი: „5“ თებერვალი 2021 წ. 17 საათი.30 წუთი.

უბედური შემთხვევის ფაქტობრივი შედეგი	ქონების დაზიანება	სამუშაო პროცესიდან გამომდინარე
<input type="checkbox"/> გარდაცვალება <input checked="" type="checkbox"/> ჯანმრთელობის დაზიანება <input type="checkbox"/> სახიფათო შემთხვევა <input type="checkbox"/> სხვა _____	<input type="checkbox"/> შენობა/შენობის ნაწილი <input type="checkbox"/> აღჭურვილობა <input type="checkbox"/> ტექნიკური დანადგარი <input type="checkbox"/> სხვა _____	დიას <input checked="" type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>

4.1 დაშვების ტიპი (თუ დადგენა შესაძლებელია)

<input type="checkbox"/> იარა/ნაკაწრი <input type="checkbox"/> ამპუტაცია <input type="checkbox"/> ასფიქსია/მოხრჩობა <input type="checkbox"/> ცხოველის/მწერის ნაკბენი <input type="checkbox"/> დამწვრობა <input checked="" type="checkbox"/> თავის ტვინის დახურული ტრამვა/ჰემატომა <input type="checkbox"/> ტვინის შერყევა	<input type="checkbox"/> ღრძობა/დაჭიმულობა <input type="checkbox"/> ელექტროშოკი <input type="checkbox"/> ინფექცია <input checked="" type="checkbox"/> მოტეხილობა <input type="checkbox"/> დასხივება <input type="checkbox"/> სხვა:
---	---

4.2 სხეულის დაზიანების ლოკაცია (თუ დადგენა შესაძლებელია)

<input type="checkbox"/> ზედა კიდური <input type="checkbox"/> ქვედა კიდური <input type="checkbox"/> ხერხემლის სვეტი <input checked="" type="checkbox"/> გულ-მკერდი <input type="checkbox"/> ყური <input type="checkbox"/> თვალი <input type="checkbox"/> თითის ფალანგი	<input checked="" type="checkbox"/> მენჯ-ბარძაყი <input type="checkbox"/> შინაგანი ორგანოები <input type="checkbox"/> სახის მიდამო <input type="checkbox"/> თავის ტვინი <input checked="" type="checkbox"/> თავი <input type="checkbox"/> სხვა
--	---

4.3 დაშვებულ(ებ)ის /გარდაცვლილ(ებ)ის პირადი ინფორმაცია  
(შენიშვნა: ორზე მეტი დაშვებულის პირადი ინფორმაცია წარმოადგინეთ დანართის სახით)

<p>სახელი: [redacted]          გვარი: [redacted]          პ/ნ: [redacted]          ტელ: [redacted]          მის: ქ. ჭიათურა სოფელი სალიეთი პირველი ქუჩა N 1          დაბადების თარიღი: 21.08.1988          სამუშაო პოზიცია: ყალიბის მომწყობი</p>	<p>დასაქმების თარიღი: 2020 წლის სექტემბერი.          სამუშაო სტაჟი, უბედური შემთხვევის მოხდენამდე: 2 წელი.          ცვლიანობის ხანგრძლივობა:          09:00-18:00 საათამდე.          სამუშაოზე დაშვებამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება          (ასეთის არსებობის შემთხვევაში)          არა</p>
--	--

4.4 ინფორმაცია ჩატარებული შესაბამისი ინსტრუქტაჟის/ სწავლების შესახებ

მოკვლევის განხორციელების დროს, კომპანიის მხრიდან იქნა წარმოდგენილი ინსტრუქტაჟების/სწავლების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.5 მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)  
ადმინისტრაციის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები

5. უბედური შემთხვევის აღწერა

სამუშაო პროცესის აღწერა:  
 სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლების მიერ მოკვლევის განხორციელებისას, მოხდა ობიექტის ხელმძღვანელებთან, დასაქმებულებთან და დაშვებულთან გასაუბრება. მათი გადმოცემით, 2021 წლის 05 თებერვალს ობიექტზე დასაქმებული [redacted] მენობის -2 სართულზე ასრულებდა კიბის ყალიბის მონტაჟს. სამუშაოების მიმდინარეობისას, არმატურის გაწევის პროცესში, მოხდა არმატურის ამოვარდნა მისი გადაბმის ადგილიდან, რის შედეგადაც დასაქმებული [redacted] დაახლოებით 1.80 სანტიმეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და მიიღო სხეულის დაზიანება.

6. მოწყობილობა, ხელსაწყო, ინსტრუმენტი, დანადგარი და სხვა, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა

(მწარმოებელი, სახელწოდება, მოდელი, გამოშვების წელი)  
საყალიბე პანელი.

7. თანდართული მასალა:

ფოტო <input checked="" type="checkbox"/>	თვითმხილველთა ჩვენებები	სხვა მასალები:	
ესკიზები <input type="checkbox"/>	სამედიცინო დასკვნები		
თვითმხილველები	პირადი ინფორმაცია	პოჭიცია	კომპანიის დასახელება
	შმაგი სხილაძე	ყალიბის მომწოდებელი	შპს „დომუსი“

8. უბედურ შემთხვევასთან კავშირში მყოფი პირის ან შემთხვევასთან კავშირში მყოფი პირების (გვარი, სახელი, თანამდებობა, საკონტაქტო მონაცემები) ქმედების აღწერა

9. უბედური შემთხვევის დროს საწარმოო გარემოს პირობები:  
(ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქოსოციალური ფაქტორები)  
სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოები.

10. უბედური შემთხვევის ანალიზი  
(უშუალო და არსებითი/სისტემური ფაქტორები):

სამუშაოს არასწორი დაგეგმარება და რისკის შეფასების პროცესის არასრულყოფილად არსებობა - კომპანიის მხრიდან წარმოდგენილ იქნა საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების დოკუმენტი. ობიექტზე განხორციელებული შემოწმების შედეგად დადგინდა რომ არ განხორციელებულა სრულყოფილად ყველა არსებული საფრთხის იდენტიფიცირება. კერძოდ, დასაქმებული სამუშაო პროცესს -2 სართულზე ახორციელებდა ინდივიდუალური დაცვის საშუალების (დამცავი ღვედი/ქამარი) გარეშე და ასევე არ იყო განთავსებული კოლექტიური დაცვის საშუალებები ( ღვედის ჩასაბმელი ბაგირი) .

ტრენინგი/ინსტრუქტაჟი/სწავლება - ადგილზე წარმოდგენილ იქნა ტრენინგი/ ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა დასაქმებულთა გამოკითხვით გაირკვა, რომ ისინი არ ფლობდნენ სრულად არსებული საფრთხეებისა და მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრულ, უსაფრთო სამუშაო პროცედურების შესახებ შესაბამის სრულყოფილ ინფორმაციას. (პირველადი დახმარების გაწევის პროცედურების უგულებელყოფა)

სამუშაოების განხორციელება იდს-ების გარეშე - დაშვებულთან გამოკითხვით დადგინდა, რომ ის სამუშაო პროცესს ახორციელებდა სამუშაო ღვედის/ქამრის გამოყენების გარეშე.

კოლექტიური დაცვის საშუალებების არქონა- კიბის უჯრედში არ იყო განსაზღვრული სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე და არ იყო მოწყობილი სიმაღლიდან ვარდნის დამცავი ქამრის ჩაბმის ადგილი.

11.ზედამხედველი ორგანოს დასკვნა

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლების მიერ 01-11/5 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული უბედური შემთხვევის მოკვლევა ეფუძნება დამსაქმებულთან, დასაქმებულთან გასაუბრებას.

უშუალო და სისტემური მიზეზების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ

1. საფრთხის იდენტიფიცირების და რისკის შეფასების პროცესი - მოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა სრულად საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება კერძოდ, ობიექტის მინუსორ სართულზე მიმდინარეობდა საშენებლო სამუშაოები, სამუშაოების დაწყებამდე და დასაქმებულთა სამუშაოზე დაშვებამდე არ განხორციელდა საფრთხეების იდენტიფიცირება სრულად.

დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 1. ქვეპუნქტები „ა“ - „დ“.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - ობიექტზე სიმაღლეზე სამუშაოები მიმდინარეობდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე. კერძოდ, სიმაღლეზე სამუშაოები განხორციელდა სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ქამრების და ღვედის გამოყენების გარეშე.

დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 11, პუნქტი 1.

დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ობიექტის საფრთხიდან გამომდინარე მაქსიმალურად ვერ აკონტროლებს დასაქმებულთა მხრიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების მკაცრად შესრულებას.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ კომპანიაში უნდა განხორციელდეს მუდმივი მონიტორინგი სამუშაო პროცესის მიმდინარეობაზე და კონტროლი იღეს-ების გამოყენებაზე.

11.1 საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ტექნიკური რეგლამენტების დარღვევა/შეუსრულებლობა, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა.

1) საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“

2) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477 „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

11.2 უბედური შემთხვევის მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებები, ვადა.

უბედური შემთხვევის მიზეზების აღმოფხვრის და რეციდივის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებები და ვადები განსაზღვრულია 18.03.2021 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში N001336.

ხელმოწერა:

